სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 ივნისი, 2025 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/136

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ გიორგი მამულაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/29 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის N06-01/16 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“, ,,2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის №01-08/436 ბრძანების (N1 დანართის 72-ე გრაფა გიორგი მამულაძის გადმოყვანის წესით ჩარიცხვის შესახებ), „სწავლის საფასურის დავალიანების მქონე, 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტების 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების და საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ“ შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 26 თებერვლის №01-08/50 ბრძანების (N1 დანართის მე-10 გრაფა გიორგი მამულაძის სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ), „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/49 დადგენილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №21-20/06, 25.06.2025) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 25 0000763216, 27/06/2025) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **გიორგი მამულაძის** სადისერტაციო ნაშრომის „საზღვაო სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემები საერთაშორისო ბიზნესში: თანამედროვე გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“ **საჯარო დაცვა** დაინიშნოს 2025 წლის **11 ივლისს**, 12:00 საათზე, 423-ე აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N2, მე-4 სართული).

2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ბიზნესის ადმინისტრირების“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. მანველიძე რეზო - ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის თავმჯდომარე);**
2.2. ლეილა ცეცხლაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **(მდივანი);**
2.3. ნათელა წიკლაშვილი - ბსუ-ს პროფესორი;
2.4. ასიე ცინცაძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.5. გელა მამულაძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.6. ნატო ჯაბნიძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.7. ნანული მახარაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.8. ირინე თავაძე- ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.9. რამინ ცინარიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.10. ირმა ჩხაიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.11. თამარ ღოღობერიძე - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ლ. ცეცხლაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**